


რეგისტრირებულია ცვლილებებით

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს  
2015 წლის.....  
№...გადაწყვეტილებით



მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება  
„მშრომელთა სოციალისტური პარტია“

## წესდება

### 1. ზოგადი დებულება

1.1. მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „მშრომელთა სოციალისტური პარტია“ შემდგომ ტექსტში – პარტია, არის მოქალაქეთა ნებაყოფლობითი პოლიტიკური გაერთიანება რომელიც თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციის, „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის, საქართველოს კანონმდებლობისა და მოცემული წესდების შესაბამისად.

1.2. კანონით დადგენილი წესით სახელმწიფო რეგისტრაციის მომენტიდან პარტია არის იურიდიული პირი, აქვს განკერძოებული ქონება, დამოუკიდებელი ბალანსი, მრგვალი ბეჭედი, სიმბოლიკა, საანგარიშსწორებო, სავალუტო და სხვა ანგარიშები საბანკო დაწესებულებებში.

### 1.3. პარტიის სიმბოლოა:

თეთრ ფონზე შავი კონტურით გამოსახულ წრეში ჩასმული მოკაშკაშე სხივებით ხუთქიმიანი ვარსკვლავი, რომლის ცენტრშიც მოთავსებულია დაკეცილი წიგნი, რომელზედაც აღბეჭდილია ნამგალისა და უროს გამოსახულება, წრის გასწვრივ განთავსებულია პარტიის სრული სახელწოდება.

- მრგვალ წრეში ჩასმული ხუთქიმიანი ვარსკვლავი მოკაშკაშე სხივებით, ნიშნავს ახალი ცხოვრების გამობრწყინების დაწყებას;
- ნამგალი და ურო, მუშათა და გლეხთა სიმბოლოა, რომელიც შრომისაკენ მიგვანიშნებს;
- დაკეცილი წიგნი მაჩვენებელია მოწინავე ინტელიგენციის განათლების, სწავლა-აღზრდის, მეცნიერების მწვერვალების დაპყრობისა.
- აღნიშნული სიმბოლო გამოიყენება ტიტულოვან ფურცელზე და პარტიის ბეჭედში.

1.4. პარტია უფლებამოსილია განახორციელოს საკუთარი უფლებები და იკისროს მოვალეობები, იყოს მოსარჩელე და მოპასუხე სასამართლოში, კანონით დადგენილი წესით დააფუძნოს პარტიის სტრუქტურული ქვედანაყოფები, პრესისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებები.

5. პარტია თავის საქმიანობას ახორციელებს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე.

6. პარტიის იურდიული მისამართია: საქართველო, ქ. თბილისი, გლდანის III მაკრო რაიონის 71 კორპუსი, ბინა №27.

### II პარტიის მიზნები და ამოცანები

2.1. პარტიის ძირითადი მიზანია ერთიანი, დამოუკიდებელი, პოლიტიკურად ღლიერი, ეკონომიკურად აღორძინებული, კულტურულად განვითარებული ქვეყნის აღმშენებლობაში მონაწილეობის მიღება, ზრუნვა მშრომელთა სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და მოქალაქეთა უფლებების დაცვისათვის.

2.2. აღნიშნული მიზნების მისაღწევად პარტია აკეთებს რაიონებში, ქალაქებში და მთელს ქვეყანაში პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის ანალიზს სოციალურ-ეკონომიკური გამოკვლევათა საინფორმაციო ბანკის საფუძველზე;

- შეიმუშავებს საინიციატივო პროექტებს, წინადადებებს სახელმწიფო საშინაო და საგარეო პოლიტიკის სფეროში სოციალ-ეკონომიკური პრობლემების გადაწყვეტის თაობაზე;

- იღვწის ყველა პროგრესულ პოლიტიკურ ძალასთან თანამშრომლობისათვის, მონაწილეობს ხელისუფლების ორგანოების არჩევნებში კანონით დადგენილი წესით.

### III. პარტიის წევრობა

3.1. პარტიის წევრი შეიძლება გახდეს საარჩევნო უფლების მქონე საქართველოს მოქალაქე, რომელიც აღიარებს წინამდებარე წესდებას, იხდის საწევრო შენატანს და მონაწილეობას მიიღებს მის საქმიანობაში.

3.2. პარტიის წევრად მიღება ხდება ნებაყოფლობით მსურველის წერილობითი განცხადებით პარტიის სტრუქტურული ქვედანაყოფის გამგეობის (პრეზიდიუმის) - შემდგომ ტექსტში "პრეზიდიუმი" - მიერ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე.

3.3. წევრს შეუძლია თავისუფლად გავიდეს პარტიის წევრობიდან.  
- პარტიის საწესდებო ნორმების დარღვევისათვის პარტიის წევრების მიმართ გამოიყენება შენიშვნა, საყვედური და სასტიკი საყვედური. განმეორების შემთხვევაში კი გარიცხული იქნება პარტიიდან თუ მის გარიცხვას ხმა მისცა სტრუქტურული ქვედანაყოფების საერთო კრების წევრთა უმრავლესობამ.

- პირს, რომლის მიმართაც გამოყენებული იქნა დისციპლინური ზომები უფლება აქვს ერთი თვის მანძილზე გადაწყვეტილება გაასაჩივროს ცენტრალურ საბჭოში, რომელიც განიხილება 45 დღის მანძილზე, და რომლის გადაწყვეტილება საბოლოოა.

### 3.4. პარტიის წევრი უფლებამოსილია:

- მონაწილეობა მიიღოს პარტიის ხელმძღვანელი, აღმასრულებელი და მაკონტროლებელი ორგანოების არჩევნებში;
- პირდაპირ მიიღოს მონაწილეობა პარტიის საქმიანობასთან დაკავშირებული საკითხების განხილვაში, პარტიის გეგმების, პროგრამების, პროექტების და ღონისძიებების შემუშავებასა და განხორციელებაში;
- შეიტანოს წინადადებები და შეკითხვები პარტიის საქმიანობის ნებისმიერ საკითხებზე ხელმძღვანელ, აღმასრულებელ და მაკონტროლებელ ორგანოებში და მიიღოს მონაწილეობა მათ განხილვაში;
- მხარგრებლოს პარტიის მხარდაჭერითა და დახმარებით პარტიის პრეზიდიუმის მიერ დაწესებული წესისა და პირობების მიხედვით.

### 3.5. პარტიის წევრები ვალდებული არიან:

- მონაწილეობა მიიღონ პარტიის საქმიანობაში, გამოიჩინონ ინიციატივა, ხელი შეუწყონ პარტიის წინაშე დასმული ამოცანების წარმატებით შესრულებას;
- დაიცვან ამ წესდების დებულებები და დროულად გადაიხადონ საწევრო შენატანები;
- პროპაგანდა გაუწიონ პარტიის მიზნებსა და ამოცანებს.

## IV პარტიის სტრუქტურა

4.1. პარტიის უმაღლესი ხელმძღვანელი წარმომადგენლობითი ორგანოა ყრილობა.

4.2. ყრილობის უფლებამოსილებაა პარტიის წესდების მიღება, მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა, პარტიის ხელმძღვანელი, აღმასრულებელი და მაკონტროლებელი ორგანოების არჩევა, 4 წლის უფლებამოსილების ვადით, პარტიის რეორგანიზაციისა და თვითლიკვიდაციის, აგრეთვე კანონით გათვალისწინებული სხვა საკითხების გადაწყვეტა;

- ყრილობა უფლებამოსილია დაამტკიცოს პარტიის მუშაობის ძირითადი მიმართულებები და საქმიანობის გეგმები, მიიღოს გადაწყვეტილებები პარტიის პროგრამების შემუშავებისა და რეალიზაციის შესახებ.

4.3. ყრილობა არის მორიგი და რიგგარეშე. მორიგი ყრილობის მოწვევა ხდება 4 წელიწადში ერთხელ, ხოლო რიგგარეშე მოიწვევა თავმჯდომარის, სარევიზიო კომისიის ან პარტიის წინა ყრილობის დელეგატთა საერთო რაოდენობის სულ ცოტა ერთი მესამედის მოთხოვნით.

4.4. ყრილობა უფლებამოსილია, როცა მასში მონაწილეობას დებულობს დელეგატთა სულ ცოტა ორი მესამედი. გადაწყვეტილება მიიღება დამსწრეთა ხმების უბრალო უმრავლესობით.

4.5 პარტიის საქმიანობას წარმართავს პარტიის თავმჯდომარე, რომელიც აკრეფს 4 წლის ვადით, ყრილობის მიერ.

4.6 თავმჯდომარის პირველ მოადგილეს ირჩევს ყრილობა ოთხი წლის ვადით, ხოლო მოადგილეს ნიშნავს თვითონ თავმჯდომარე და განსაზღვრავს მის ფუნქციებს.

4.7 თავმჯდომარე პარტიის ცენტრალური საბჭოს გადაწყვეტილების თანახმად:

- მოქმედებს პარტიის სახელით, წარმოადგენს მას ყველა დონეზე და ყველა საკითხში ქვეყნის შიგნით და საზღვარგარეთ;
- განკარგავს პარტიის ქონებასა და სახსრებს, ცენტრალური საბჭოს გადაწყვეტილებისამებრ;
- ხსნის ანგარიშებს ბანკის შესაბამის დაწესებულებებში, ხელს აწერს საბუღალტრო-საფინანსო და სახვა დოკუმენტებს, პარტიის სახელით დებს შეთანხმებებს, ხელშეკრულებებს, კონტრაქტებს, აწარმოებს მოლაპარაკებებს;
- იწვევს და უძღვება პარტიის ცენტრალური საბჭოსა და პრეზიდიუმის ხსლომას;

4.8 პარტიის თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში მისი ფუნქციების შესრულება ეკისრება მის პირველ მოადგილეს.

4.9 პარტიის ხელმძღვანელ ორგანოს ყრილობებს შორის პერიოდში წარმოადგენს ცენტრალური საბჭო, რომელსაც ირჩევს ყრილობა 4 წლის ვადით, რომელიც ხელმძღვანელობს პარტიის ყრილობებს შორის პერიოდში. მის კომპეტენციაში შედის:

- პარტიის სტრუქტურული ქვედანაყოფის დაფუძნება, მათი დებულებების დამტკიცება და შემდგომ მათი მუშაობის კორდინაცია;
- პარტიის ბიუჯეტის დამტკიცება;
- პარტიის წევრობიდან გარიცხვის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილების მიღება;
- პარტიის წესდებაში ცვლილებებისა და დამატებების მომზადება და ყრილობისათვის დასამტკიცებლად წარდგენა;
- ყველა სხვა საქმიანობის ხელმძღვანელობა, რომელიც ყრილობის კომპეტენციაში არ შედის, საწესდებო მოთხოვნების შესაბამისად.

4.10 ცენტრალური საბჭო, რომელიც მოიწვევა 6 თვეში - ერთხელ უფლებამოსილია, როცა მასში მონაწილეობს ცენტრალური საბჭოს წევრთა ორი მესამედი. გადაწყვეტილების მიღება ხდება დამსწრეთა ხმების უბრალო უმრავლესობით.

4.11 პარტიის აღმასრულებელი ორგანოა პრეზიდიუმი, რომელიც უზრუნველყოფს ყრილობისა და ცენტრალური საბჭოს გადაწყვეტილებათა შესრულებას.

4.12. პრეზიდიუმის სხდომა მოიწვევა თვეში ერთხელ. პრეზიდიუმის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება პრეზიდიუმის წევრთა სულ ცოტა ორი მესამედი. გადაწყვეტილება მიიღება დამსწრეთა ხმების უბრალო უმრავლესობით.

4.13. პრეზიდიუმის კომპეტენციაში შედის:

- გადაწყვიტოს პარტიის საქმიანობის პროგრამებისა და პროექტების შესრულებასთან დაკავშირებული საკითხები;
- განიხილოს მისაღებ წევრთა განცხადებები;
- დაადგინოს ყოველთვიური საწევრო შესატანების შეტანის წესი და ოდენობა;
- პარტიის სტრუქტურული ქვედანაყოფების საქმიანობის ხელშეწყობა საწესდებო მოთხოვნების შესაბამისად;

4.14. პარტიის საფინანსო საქმიანობის კონტროლს ახორციელებს სარევიზიო კომისია.

4.15. სარევიზიო კომისიას ირჩევს ყრილობა 4 წლის ვადით, რომლის წევრთა რაოდენობა განისაზღვრება არაუმცირეს 3- წევრისა. სარევიზიო კომისიის წევრები თავიიანთი შემადგენლობიდან ირჩევენ კომისიის თავმჯდომარეს.

4.16. სარევიზიო კომისია მოვალეა მოაწყოს მიმდინარე შემოწმებები წელიწადში ორჯერ მაინც. რიგგარეშე რევიზიებს კომისია ატარებს საკუთარი ინიციატივით ან პრეზიდიუმის დაგალებით.

- სარევიზიო კომისიის სხდომები ტარდება ორ თვეში ერთხელ;
- სარევიზიო კომისია უფლებამოსილია თუ მას ესწრება კომისიის წევრთა ნახევარზე მეტი;
- სარევიზიო კომისია გადაწყვეტილებას იღებს დამსწრეთა ხმების უმრავლესობით;
- სარევიზიო კომისიამ პარტიის საფინანსო საბუღალტრო დოკუმენტების რევიზიასთან ერთად შეიძლება კონტროლი გაუწიოს პარტიის წევრთა საჩივრებს და პრეტენზიების სისწორეს.

4.17. სარევიზიო კომისიის მთელი საქმიანობა წარიმართება ყრილობის მიერ დამტკიცებული დებულების საფუძველზე.

## V. პარტიის ქონება და სახსრები

5.1. პარტიის ქონება და სახსრები ყალიბდება:

- საწევრო შენატანებისაგან;
- ფიზიკური და იურიდიულ პირთა შემოწირულობებისაგან;

კანონით ნებადართული საქმიანობით მიღებული შემოსავლებისაგან

52 პარტიის შემოსავლები არ ნაწილდება მის წევრებს შორის და წარიმართება წესდებით გათვალისწინებული მიზნებისა და ამოცანების შესასრულებლად, პრეზიდიუმის მიერ დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად, ხელშეკრულების საფუძველზე მოწვეული ტექნიკური პერსონალის შესანახად.

53 კანონით დადგენილი წესით პარტიის საკუთრებაში შეიძლება ჰქონდეს შენობები, ნაგებობები, სატრანსპორტო საშუალებები და სხვა უძრავი ქონება, რაც საჭიროა პარტიის მიზნების განსახორციელებლად.

VI. წესდებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი.

61 პარტიის წესდებაში ყრილობის მიერ შეტანილი ცვლილებების რეგისტრაცია ხდება კანონით დადგენილი წესით და დადგენილ ვადებში წესდებაში შეტანილი ცვლილებების მიხედვით, მიღებული გადაწყვეტილება ძალაშია მხოლოდ ამ ცვლილებების რეგისტრაციის შემდეგ.

VII. პარტიის ლიკვიდაცია

71. პარტიის საქმიანობის ვადა არ დგინდება. მისი საქმიანობის შეწყვეტა ხდება აკრძალვის, თვითლიკვიდაციის ან რეორგანიზაციის გზით.

72. პარტიის აკრძალვა შეიძლება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით, თუ პარტიის მიზანია საკონსტიტუციო წყობილების დამხობა, ან ძალადობით შეცვლა ქვეყნის დამოუკიდებლობის ხელყოფა, ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა ან როდესაც ეწევა ომისა და ძალადობის პროპაგანდას, აღვივებს ეროვნულ, კუთხურ რელიგიურ ან სოციალურ შუღლს, ქმნის ან შექმნილი აქვს შეიარაღებული ფორმირება.

73. პარტიის საქმიანობა შეიძლება შეწყდეს რეორგანიზაციის, ან თვითლიკვიდაციის საფუძველზე, ყრილობის გადაწყვეტილებით.

74. რეორგანიზაციის შემთხვევაში პარტიის ქონების განაწილების საკითხს წევრებს ყრილობა დადგენილი წესით.

75. პარტიის თვით ლიკვიდაციის შემთხვევაში ყრილობის მიერ იქმნება ხალიკვიდაციო კომისია, რომლის მეშვეობითაც უნდა დასრულდეს პარტიის მემდინარე საქმეები; დადგინდეს მოთხოვნები, დარჩენილი ქონება გამოიხატოს ფულში, დაკმაყოფილდნენ კრედიტორები და დარჩენილი ქონება გადაეცეს სახელმწიფო ხაზინას.